<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2021 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვაზისუბნის IV მიკრო რაიონის I კვარტალში მდებარე რაგბის სათამაშო მოედნისთვის სპორტსმენის, აფხაზრთის ომში დაღუპული მებრძოლის ემზარ სულაქველიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, ვაზისუბნის IV მიკრო რაიონის I კვარტალში მდებარე რაგბის სათამაშო მოედანს მიენიჭოს სპორტსმენის, აფხაზრთის ომში დაღუპული მებრძოლის ემზარ სულაქველიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1:1,000
X=488224 Y=4616579
X=488066 Y=4616517
ემზარ სულაქველიძის
სახელობის მოედანი
X=488251 Y=4616501
X=488134 Y=4616457

ქ. თბილისის საკრებულოს
თავჯდომარისა
ნ-ნ გიორგი ყაყაბაძეს
მოქ: ალექსანდრე ბრეგვაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ებ ა

მოგებინეთ თხოვნით, ქ. თბილისის ისნის რ-ნის კანონისა და IV მოწ/რ-ის I 53/ჰ-ში მდებარე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფ ნივთის სტადიონის ტიპის კაზინოს სოლიდარული

მიუხედავად იმისა, რომ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე კაზინოს სოლიდარული სახელის, რომელიც ის ადგილზეთის ობის მონაწილე იყო ვფიქრობთ, კანონმდებლობაში ნივთის დაკავებულობასა და პოპულარიზაციაში შეტანილი ცვლილებების და ამა სახელის ჯაჭვისაკენ, ალბიშნული სტადიონის, გთხოვთ, ტიპის კაზინოს სოლიდარული სახელი

ს/ნ 01012023163
ტელ: 577771867

პატივისცემით, მოქ:
ალექსანდრე ბრეგვაძე /ა. ბრეგვაძე/

02.03.21.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032111646**
თარიღი: **26/04/2021**
პინი: **5367**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი მოქალაქე ალექსანდრე ბრაგვაძის 2021 წლის 2 მარტის საქმე #19/032106150-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს ისნის რაიონში, ვაზისუბნის IV მიკ/რ-ნის I კვარტალში მდებარე რაგბის მოედნისთვის ემზარ სულაქველიძის სახელის მინიჭებას.

გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ემზარ სულაქველიძის სახელობის მოედნის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) გვერდი.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01211184083**
თარიღი: **28/04/2021**
პინი: **9840**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ბ-ნ მიხეილ ამაშუკელს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო მიხეილ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 26.04.2021 წლის #03-032111646 (26.04.2021წ. #14-01211163350-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ემზარ სულაქველიძე

(1951-1993)

აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლი, რაგბის კლუბ „ივერიის“ დამაარსებელი და პრეზიდენტი 1991 წლიდან გარდაცვალებამდე.

დაიბადა ქ.თბილისში. 1970 წელს დაამთავრა თბილისის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი. 1981 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი და მიენიჭა ფიზიკური კულტურის და სპორტის მასწავლებლის კვალიფიკაცია. მუშაობდა თბილსის 172-ე საშუალო სკოლაში ფიზიკური კულტურის მასწავლებლად და რაგბის მწვრთნელად. 1991 წელს სკოლაში ჩამოაყალიბა მორაგბეთა გუნდი, რომლის ბაზაზეც შეიქმნა პროფესიონალური კლუბი „ივერია“. გუნდი წარმატებით ასპარეზობდა სხვადასხვა შეჯიბრებებში. 1991 წლიდან გარდაცვალებამდე იყო მორაგბეთა კლუბის დამაარსებელი და პრეზიდენტი.

ემზარ სულაქველიძე აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, იყო პოლიტიკური გაერთიანება „მრგვალი მაგიდის“ წევრი.

1992 წლიდან უშუალოდ იყო ჩართული აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში. 1992 წელს დაიჭრა გაგრის მისადგომებთან. მისი თაოსნობით მოხდა გომბორის მოიერიშე სადესანტო ბატალიონის ჩამოყალიბება. იგი იყო ნაწილის მეთაური აღმზრდელობით დარგში. ტამიშთან ქართული შენაერთების უკან დახევისას ჩავარდა ტყვედ. ნაწამები 36 დღის განმავლობაში სამჯერ იქნა გაყვანილი დასახვრეტად. აფხაზი სპორტსმენების ინიციატივით მოხდა ტყვეების გაცვლა. გათავისუფლებიდან ათ დღეში კვლავ დაბრუნდა ბრძოლის ველზე. ამ პერიოდში საბოლოოდ იკარგება მისი კვალი ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალდაბასთან. დაკრძალვის ადგილი დღემდე უცნობია.